

სესხის ნომერი L0388A

სასესხო შეთანხმება

COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი

საქართველოსა

და

აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს

შორის

2020 წლის 21 მაისი

სასესხო შეთანხმება

შეთანხმება, დათარიღებული 21 მაისი, 2020, („სასესხო შეთანხმება“) საქართველოსა („მსესხებელი“) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს („ბანკი“) შორის.

ა) ვინაიდან, თანადამფინანსებელმა თანადამფინანსების შეთანხმების მეშვეობით, უზრუნველყო თანადამფინანსება მსესხებლისათვის სამოცდაცამეტი მილიონ ასი ათასი ევროს (€73,100,000) ოდენობით, ამ სასესხო შეთანხმების პირველ განრიგში აღწერილი პროექტის („პროექტი“) დაფინანსებაში დასახმარებლად;

ბ) ვინაიდან, მსესხებელმა სთხოვა ბანკს სესხის გამოყოფა პროექტის დაფინანსებაში დასახმარებლად; და

გ) ვინაიდან ბანკი დათანხმდა წინამდებარედან გამომდინარე სხვებთან ერთად გამოყოს სესხი მსესხებლისათვის ამ სასესხო შეთანხმებაში გათვალისწინებული წესებისა და პირობების შესაბამისად.

შესაბამისად, მსესხებელი და ბანკი თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი I

- ზოგადი პირობები; განმარტებები

- 1.01. ზოგადი პირობები (როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე შეთანხმების დანართში) წარმოადგენენ ამ შეთანხმების ნაწილს.
- 1.02. თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, წინამდებარე შეთანხმებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ზოგად პირობებში ან წინამდებარე შეთანხმების დანართში.

მუხლი II- სესხი

- 2.01. ბანკი თანახმაა წინამდებარე შეთანხმების პირველ განრიგში აღწერილი პროექტის („პროექტი“) დაფინანსებაში დასახმარებლად წინამდებარე შეთანხმების წესებისა და პირობების გათვალისწინებით, მსესხებელს ასესხოს თანხა ოთხმოცდათერთმეტი მილიონ სამას ორმოცი ათასი ევროს (€91,340,000) ოდენობით („სესხი“).
- 2.02. მსესხებელს შეუძლია გამოითხოვოს სესხის თანხები წინამდებარე შეთანხმების განრიგი 2-ის ნაწილი IV -ის შესაბამისად.
- 2.03. მსესხებელის მიერ დასაფარი ერთჯერადი ადმინისტრირების საკომისიო უნდა შეადგენდეს სესხის თანხის ერთი პროცენტის მეოთხედს (0.25%).
- 2.04. მსესხებლის მიერ დასაფარი ვალდებულების გადასახადი უნდა შეადგენდეს აუთვისებელი სესხის თანხის ერთი პროცენტის მეოთხედს (0.25%) წლიურად.
- 2.05. მსესხებლის მიერ თითოეული საპროცენტო პერიოდისათვის გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი არის საორიენტაციო განაკვეთს დამატებული ცვლადი მარჟა ან კონვერსიის შედეგად დაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთი; რაც ექვემდებარება ზოგადი პირობების 3.02. (დ) ნაწილს. მიუხედავად ზემოხსენებულისა, იმ შემთხვევაში თუ სესხის ჩამორიცხული ნაწილის გადასახდელი თანხები დაბრუნებული არ იქნება დათქმულ დროს და გადაუხდელობა გრძელდება 30 დღის განმავლობაში, მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს დეფოლტის საპროცენტო განაკვეთი, ნაცვლა ცვლადი საპროცენტო განაკვეთისა ან ისეთი საპროცენტო განაკვეთის, რომელიც კონვერტაციის შედეგად იქნება მიღებული, როგორც ეს მოცემულია ზოგადი პირობების ნაწილში 3.02 (დ).
- 2.06. პროცენტის გადახდის თარიღები არის ყოველი წლის 15 თებერვალი და 15 აგვისტო.

- 2.07. სესხის ძირითადი თანხის დაფარვა განხორციელდება წინამდებარე შეთანხმების განრიგი 3-ის შესაბამისად.

მუხლი III - პროექტი

- 3.01. მსესხებელი აცხადებს თავის ვალდებულებას პროექტის მიზნების მიმართ. ამისათვის მსესხებელმა უნდა განახორციელოს პროექტი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ("MoILHSA") მეშვეობით, ზოგადი პირობების მე-IV მუხლის დებულებების შესაბამისად.
- 3.02. წინამდებარე შეთანხმების 3.01 ნაწილის დებულებების დარღვევის გარეშე და გარდა იმისა თუ მსესხებელი და ბანკი სხვაგვარად შეთანხმდებიან, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტი ხორციელდება წინამდებარე შეთანხმების განრიგი 2-ის დებულებების შესაბამისად.

მუხლი IV შეჩერების და დაჩქარების დამატებითი ღონისძიებები

- 4.01. შეჩერების დამატებითი ღონისძიებები მოიცავს:
- (ა) თანადაფინანსების შეთანხმებიდან გამომდინარე მოხდა შემთხვევა, რომელიც იწვევს შეჩერებას და ეს გრძელდება; და
 - (ბ) პროექტის თანადაფინანსებლების შეთანხმება შეწყდა.
- 4.02. დაჩქარების დამატებითი ღონისძიებები მოიცავს:
- (ა) წინამდებარე შეთანხმების 4.01 (ბ) ნაწილით განსაზღვრული შემთხვევა ხდება; და
 - (ბ) წინამდებარე შეთანხმების 4.01 (ა) ნაწილით განსაზღვრული შემთხვევა ხდება და გრძელდება 30 დღე მას შემდეგ რაც ბანკი მსესხებელს აცნობებს შემთხვევის შესახებ.

მუხლი V ძალაში შესვლა

- 5.01 ძალაში შესვლის დამატებითი პირობა მოიცავს:
- (ა) პროექტის თანადაფინანსებლების შეთანხმება შესრულებულია ბანკისა და თანადაფინანსებლის სახელით, და ყველა პირობა, რომელიც უკავშირდება ძალაში შესვლას (გარდა წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლისა) შესრულებულია; და
- 5.02 ძალაში შესვლის ბოლო ვადა არის წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის თარიღიდან ოთხმოცდაათი (90) დღე.

მუხლი VI— წარმომადგენლები, მისამართები

- 6.01. მსესხებლის წარმომადგენელი ზოგადი პირობების 9.02 ნაწილით განსაზღვრული მიზნებისათვის არის ფინანსთა მინისტრი, გარდა წინამდებარე შეთანხმების 2.02 ნაწილისა.
- 6.02. მსესხებლის მისამართი ზოგადი პირობების 9.01 ნაწილით განსაზღვრული მიზნებისათვის არის:
- ფინანსთა სამინისტრო
- გორგასლის ქ. N16
- 0114, თბილისი

საქართველო

ელ.ფოსტა: publicdebt@mof.ge

6.03. ბანკის მისამართი:

აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი
B-9 Financial Street, Xicheng რაიონი

პეკინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 100033

ფაქსიმილე +86-10-8358-0002

შეთანხმდნენ იმ დღეს და წელს, რომელიც წერია დასაწყისში.

საქართველო

წარმოდგენილი _____

უფლებამოსილი წარმომადგენელი

სახელი: ივანე მაჭავარიანი

თანამდებობა: ფინანსთა მინისტრი

აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი

წარმოდგენილი _____

უფლებამოსილი წარმომადგენელი

სახელი: კონსტანტინ ლიმიტოვსკი

თანამდებობა: ვიცე-პრეზიდენტი

განრიგი 1

პროექტის აღწერა

პროექტის მიზანია საქართველოში COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული საფრთხეების თავიდან აცილება, გამოვლენა და მასზე რეაგირება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მზადყოფნის ეროვნული სისტემების გაძლიერება საქართველოში.

პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ნაწილი 1: COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირება

გადაუდებელი დახმარება COVID-19-ის გავრცელების შენელებისა და შეზღუდვაში შემდეგი ძალისხმევის გზით:

(ა) საქართველოს ჯანდაცვის სექტორის მხარდაჭერა დაავადებათა სამეთვალყურეო სისტემებისა და ადრეული გამოვლენის გასაძლიერებლად, შერჩეული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ლაბორატორიების ეპიდემიოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერების გზით და COVID-19 შემთხვევების დადასტურება ზოგადი ტესტირების შესაძლებლობის გაზრდის გზით და კრიტიკული სამედიცინო საშუალებებისა და აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის გაფართოებით; და

(ბ) საქართველოს ჯანმრთელობის სისტემების მზადყოფნის დაგეგმვისა და კლინიკური ზრუნვის შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების განყოფილებების დაფუძნების, იზოლაციური საშუალებების, კრიტიკული სამედიცინო საშუალებების, აღჭურვილობის და მასთან დაკავშირებული სხვა საკონლის ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით და სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დახმარების დაწესებულებებისთვის დამატებითი რესურსების მობილიზება, მათ შორის არა მძიმე შემთხვევების ეფექტური მართვისთვის და მომავალი COVID-19 შემთხვევებისა და მკურნალობის მზადყოფნის უზრუნველყოფა.

ნაწილი 2: ჯანმრთელობის ზომების გატარება COVID-19-ის შეკავების შესანარჩუნებლად ღარიბი ოჯახებისა და სოციალურად დაუცველი პირების დროებითი შემოსავლის მხარდაჭერით

დახმარება COVID-19-ით უშუალოდ თუ არაპირდაპირი გზით დაზარალებული ოჯახებისა და პირების სოციალური და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფაში შემდეგი გზებით:

(ა) ფინანსური დახმარების გაწევით, დახმარების გაფართოების დამატებით, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის საშუალებით, დამატებითი ღარიბი და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის;

(ბ) დროებითი ფინანსური დახმარების გაწევა შერჩეული ოფიციალური მუშაკებისა და თვითდასაქმებული პირებისთვის, რომელთა დასაქმებაზეც უშუალოდ ან ირიბად აისახება COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული მიღებული ზომები და რომლებიც სხვაგვარად არ არიან დაფარული სოციალური დაცვის სხვა პროგრამებით.

ნაწილი 3: პროექტის მართვა და მონიტორინგი

პროექტის მართვის ღონისძიებების განხორციელება, შემდეგის ჩათვლით: (ა) ფინანსური მართვა და შესყიდვების მოთხოვნები; (ბ) პროექტთან დაკავშირებული მონიტორინგისა და შეფასების საქმიანობა,

მათ შორის, მონიტორინგი, ზემოქმედების შეფასება, მონაცემთა შეგროვება და ფინანსური დახმარების უზრუნველყოფის ადგილზე შემოწმება; და (გ) სხვა დავალებები, რომლებიც ეხება საერთო ადმინისტრირებას, შესყიდვას, ფინანსურ მართვას, გარემოსდაცვითი და სოციალურ ასპექტებს, კომუნიკაციასა და ურთიერთობებს.

განრიგი 2

პროექტის შესრულება

ნაწილი I. განხორციელების ღონისძიებები

ა. ინსტიტუციური ღონისძიებები

1. მსესხებელმა მთლიანი პროექტის განხორციელების პასუხისმგებლობა უნდა დააკისროს MoILHSA-ს, შემოსავლების სამსახურისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხარდაჭერითა და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით.

2. მსესხებელმა MoILHSA-ს მეშვეობით უნდა: (ა) ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს ოცდაათი (30) დღისა შექმნას და შემდგომ პროექტის განხორციელების განმავლობაში შეინარჩუნოს პროექტის განმახორციელებელი ერთეული („PIU“) ბანკისთვის მისაღები შემადგენლობით, რესურსებითა და პირობებით; და (ბ) დააკისროს ამ PIU-ს პროექტის ყოველდღიური განხორციელების პასუხისმგებლობა.

ბ. სახელმძღვანელოები

1. მსესხებელმა უნდა მოამზადოს და მიიღოს ხელმოწერის თარიღიდან არაუგვიანეს ოცდაათი (30) დღისა, პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელო („პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელო“), რომელიც შეიცავს: პროექტის განხორციელებისთვის დეტალურ სახელმძღვანელოსა და პროცედურებს, მათ შორის: ადმინისტრირება და კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება, ფინანსური მართვა, შესყიდვებისა და აღრიცხვის პროცედურები, გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიები, ანტიკორუფციისა და თაღლითობის შემსუბუქების ღონისძიებები, საჩივრების გამოსწორების მექანიზმი, დებულებები პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების თაობაზე საქართველოს კანონის "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" შესაბამისად და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, პროექტის განხორციელებისთვის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, მათ შორის, სააგენტოების განსაკუთრებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რომლებიც ჩართულნი არიან პროექტის განხორციელებაში და ბანკისთვის მისაღები ფორმითა და შინაარსით სხვა ღონისძიებები და პროცედურები რაც შეიძლება საჭირო იყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისთვის.

2. მსესხებელმა MoILHSA-სა და ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით უნდა მოამზადოს და მიიღოს ხელმოწერის თარიღიდან არაუგვიანეს ოცდაათი (30) დღისა, ბიუჯეტისა და ანაზღაურებების სახელმძღვანელო („გლობალური ბიუჯეტის და ანაზღაურებების სახელმძღვანელო“), რომელიც ეხება საქმიანობას ჯანმრთელობის სექტორის მზაობისთვის პროექტის ნაწილი 1 (ბ)-ს ფარგლებში, მათ შორის: ბიუჯეტის განაწილება, ამგვარი ბიუჯეტის განაწილების გამოთვლის, განხილვის, დამტკიცებისა და გადაცემის მეთოდოლოგია, ანაზღაურების დეტალური მექანიზმები, ფულადი სახსრების მიმოქცევისთვის საჭირო და ამ აქტივობების ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო სხვა ღონისძიებები და პროცედურები ბანკისთვის მისაღები ფორმითა და შინაარსით.

3. მსესხებელმა უნდა განახორციელოს პროექტი ამ შეთანხმების, პროექტის საოპერაციო

სახელმძღვანელოსა და გლობალური ბიუჯეტის და ანაზღაურებების სახელმძღვანელოს შესაბამისად. გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბანკი სხვაგვარად დათანხმდება, მსესხებელმა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე არ უნდა გადასცეს სხვას, შეცვალოს, გაუქმოს პროექტის ოპერაციების სახელმძღვანელოს ან გლობალური ბიუჯეტის და ანაზღაურებების სახელმძღვანელოს დებულებები ან უარი თქვას მათზე. პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოს ან გლობალური ბიუჯეტის და ანაზღაურებების სახელმძღვანელოს და ამ შეთანხმების დებულებებს შორის რაიმე კონფლიქტის შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმების დებულებები უპირატესია.

გ. მონაცემთა დაცვა

ზემოაღნიშნული ბ.1 ნაწილის შეზღუდვის გარეშე, პროექტის მე-2 ნაწილის ფარგლებში პერსონალური მონაცემების სათანადოდ დაცვის უზრუნველსაყოფად, მსესხებელმა უნდა:

(ა) ხელმოწერის თარიღიდან არაუგვიანეს სამოცი (60) დღისა წარუდგინოს ბანკს შეთავაზებული გეგმა („ქმედების გეგმა“), რომელიც ადგენს გრაფიკს და იმ გადასადგმელ ნაბიჯებს იმ რეკომენდაციების შესასრულებლად, რაც განსაზღვრულია 2018 და 2019 წლების საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებში, რომელიც ეხება სოციალური დახმარების პროგრამის და საპენსიო პროგრამის ინფორმაციულ სისტემას და შესაბამისად საპენსიო რეფორმას, რომელსაც ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო, და სხვაგვარი ქმედებები, რომლებიც აუცილებელია სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური დახმარების პროგრამის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების ეფექტური განხორციელებისთვის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად; და

(ბ) ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს ოთხმოცდაათი (90) დღისა, მიიღოს ბანკის ქმედებათა გეგმა, ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით და ამის შემდეგ დაიწყოს ქმედებათა გეგმის განხორციელება მისი პირობების შესაბამისად, ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით.

დ. აკრძალული პრაქტიკა

1. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტი ხორციელდება: (i) თანადამფინანსებლის ანტიკორუფციული სახელმძღვანელოს შესაბამისად; და (ii) ბანკის პოლიტიკის შესაბამისად აკრძალული პრაქტიკის მიმართ, რომელიც უკავშირდება „რესურსების არასწორად გამოყენების“ და „ქურდობის“ აკრძალულ პრაქტიკას, რამდენადაც ამგვარ აკრძალულ პრაქტიკებს არ მოიცავს თანადამფინანსებლის ანტიკორუფციული სახელმძღვანელო.
2. მსესხებელი ცნობს და აღიარებს, რომ ბანკს შეუძლია პროექტთან დაკავშირებით, მთელი ძალა მიანიჭოს ბანკის სანქციების სიას და თანადამფინანსებლის სანქციების სიას.

ე. გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები

1. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტი ხორციელდება თანადამფინანსებლის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად.
2. ზემოთ მოცემული პარაგრაფი 1-ის დარღვევის გარეშე, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტი ხორციელდება გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმის („ESCP“) შესაბამისად, ბანკისთვის და თანადამფინანსებლისათვის მისაღები ფორმით თანადაფინანსების შეთანხმების განრიგი 2-ის ნაწილი 1 (დ) დებულებების გათვალისწინებით.

3. მსესხებელი აცნობიერებს და თანხმდება, რომ იმ შემთხვევაში თუ საჩივარი თანადამფინანსებლის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების დაცვასთან დაკავშირებით იქნება მიღებული ბანკის მიერ, ასეთ საჩივრებს ბანკი შესასწავლად გადასცემს თანადამფინანსებელს, რომელიც შეისწავლის ამ უკანასკნელს მისი დამოუკიდებელი ზუსტი მექანიზმის საშუალებით.

ნაწილი II. პროექტის მონიტორინგი, ანგარიში და შეფასება

(ა) პროექტის ანგარიშები

1. მსესხებელი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს თითოეული პროექტის ანგარიში არა უგვიანეს ორმოცდახუთი (45) დღისა ყოველი კალენდარული კვარტლის დასრულებიდან, რომელიც მოიცავს კალენდარულ კვარტალს.

2. გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არაა ნათლად მოთხოვნილი ან დაშვებული ამ შეთანხმების შესაბამისად, ან, რაც შეიძლება პირდაპირ მოთხოვნილია ბანკის მიერ, ინფორმაციის, ანგარიშის ან ამ შეთანხმების განრიგ 1-ში მოცემულ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტის გაზიარებისას, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ასეთი ინფორმაცია, ანგარიში ან დოკუმენტი არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს.

(ბ) ფინანსური მართვა, ანგარიშები და აუდიტი

1. მსესხებელმა ზოგადი პირობების ნაწილი 4.09 დებულებების შესაბამისად, უნდა შეინარჩუნოს ფინანსური მართვის სისტემა
2. მსესხებელმა ამ ნაწილის პუნქტი (ა) დებულებების დარღვევის გარეშე, ბანკისათვის მისაღები ფორმით და არსით, უნდა მოამზადოს და წარუდგინოს ბანკს ყოველი კალენდარული კვარტლის დასრულებიდან არა უგვიანეს ორმოცდახუთი დღისა შუალედური შემოწმებული ფინანსური კვარტალური ანგარიშები.
3. მსესხებელს შუძლია შეამოწმოს ფინანსური ანგარიშები ზოგადი პირობების ნაწილი 4.09 (ბ) დებულებების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშების ყოველი შემოწმება უნდა ფარავდეს მსესხებლის ერთ (1) ფისკალურ წელს. შემოწმებული ფინანსური ანგარიშები თითოეული პერიოდისათვის უნდა წარედგინოს ბანკს ამ პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს ექვსი (6) თვისა. ამისათვის მსესხებელმა უნდა დანიშნოს ბანკისათვის მისაღები დამოუკიდებელი აუდიტორები, რომელთა კომპეტენცია, კვალიფიკაცია და გამოცდილება მისაღები იქნება ბანკისათვის.

ნაწილი III. შესყიდვა

ყველა საქონელი, სამუშაოები, საკონსულტაციო მომსახურება და არასაკონუსლტაციო მომსახურება რომელიც საჭიროა პროექტისათვის და რომელიც არ ფინანსდება სესხის თანხებით, უნდა იქნას შესყიდული თანადამფინანსებლის შესყიდვის რეგულაციებისა და შესყიდვის გეგმის შესაბამისად.

ნაწილი IV. სესხის თანხების გამოთხოვა

ა. ზოგადი.

1. მსესხებელს შეუძლია სესხის თანხების გამოთხოვა ზოგადი პირობების მუხლი II -ის დებულებების, ამ ნაწილის და მსესხებლისთვის ბანკის მიერ მსესხებლისადმი შეტყობინების საფუძველზე გაცემული დამატებითი ინსტრუქციების შესაბამისად, რათა დაფინანსდეს ნებადართული ხარჯი როგორც ეს მოცემულია ცხრილში წინამდებარე ნაწილის ა.2 პუნქტში.
2. ქვემოთ მოცემული ცხრილი განსაზღვრავს ნებადართული ხარჯების კატეგორიებს, რომლებიც შესაძლებელია დაფინანსდეს სესხის თანხიდან („კატეგორია“), თითოეული კატეგორიისთვის გამოყოფილი სესხის თანხას და თითოეული კატეგორიისთვის დადგენილ პროცენტს.

კატეგორია	გამოყოფილი სესხის ოდენობა (ევროში)	დასაფინანსებელი ხარჯების პროცენტულობა (გადასახადების ჩათვლით)
(1) საქონელი, სამუშაოები, არასაკონსულტაციო მომსახურებები, საკონსულტაციო მომსახურებები, საოპე- რაციო ხარჯები და ტრენინგები პროექტის 1 და 3 ნაწილებისთვის	36,383,770	55%
(2) პროექტის მე-2 ნაწილისთვის ფულადი სახსრების ტრანსფერები და უმუშევრობის სარგებელი	54,727,880	55%
(3) ადმინისტრირების საკომისიო	228,350	გადასახადი წინამდებარე სასესხო შეთანხმების 2.03 მუხლისა და ზოგადი პირობების 2.08 (ბ) პუნქტის შესაბამისად
მთლიანი მოცულობა	91,340,000	

ბ. თანხის გამოთხოვის პირობები; თანხის გამოთხოვის პერიოდი

1. წინამდებარე ნაწილის „ა“ პუნქტის დებულების მიუხედავად, თანხის გამოთხოვა არ მოხდება:

(ა) სესხის ანგარიშიდან სანამ ბანკი სრულად არ მიიღებს ადმინისტრირების გადასახადს;

(ბ) წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების გაფორმების თარიღამდე შესრულებული გადახდებისათვის, გარდა ბ ნაწილის მე-2 პუნქტით დაშვებული ხარჯებისთვის; ან

(გ) კატეგორია (2)-ის ფარგლებში, სანამ მსესხებელი მიიღებს განკარგულებას ბანკისთვის მისაღები ჩარჩო-ფორმატის შესახებ ფულადი სახსრების ტრანსფერისა და უმუშევრობის სარგებელთან დაკავშირებით.

2. ზოგადი პირობების 2.05 ნაწილის მიზნებისათვის შეიძლება მოხდეს თანხის გამოთხოვა (1) კატეგორიაში მოცემული რეტროაქტიული გადახდებისთვის, შემდეგი შეზღუდვების გათვალისწინებით:

(ა) რეტროაქტიული დაფინანსების თარიღი არის 2020 წლის 1 თებერვალი; და

(ბ) რეტროაქტიული დაფინანსების ლიმიტი შეადგენს ოცდათექვსმეტ მილიონ ხუთას ოცდათექვსმეტი ათას ევროს (€36,536,000).

3. ზოგადი პირობების 2.05 (გ) ნაწილის მიზნებისათვის და დანართის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დახურვის თარიღია 2022 წლის 30 აპრილი.

განრიგი 3

ამორტიზაციის განრიგი

1. ქვემოთ მოცემული ცხრილი განსაზღვრავს სესხის ძირითადი თანხის გადახდის თარიღებს და სესხის მთლიანი ძირითადი თანხის პროცენტს, რომლის გადახდაც უნდა განხორციელდეს სესხის ძირითადი თანხის გადახდის ყოველი თარიღის დადგომისას (“დაფარვის წილი”). თუ სესხის თანხა მთლიანად უნდა ყოფილიყო ათვისებული სესხის ძირითადი თანხის დასაფარი პირველი გადახდის თარიღისათვის, სესხის ძირითადი თანხის ოდენობა, რომელიც მსესხებლის მიერ უნდა დაიფაროს სესხის ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღისათვის განსაზღვრება ბანკის მიერ შემდეგნაირად: (ა) სესხის ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღისათვის მთლიანად ათვისებული და დაუფარავი სესხის ძირითადი თანხა; გამრავლებული (ბ) სესხის დაფარვის წილზე ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღისათვის.

სესხის დაფარვის თარიღი	დაფარვის წილი (გამოხატული პროცენტებში)
ყოველი წლის 15 თებერვალს და 15 აგვისტოს, დაწყებული 2033 წლის 15 აგვისტოდან, 2045 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით	3.85%
2046 წლის 15 თებერვალი	3.75%

2. იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხები მთლიანად არ არის გამოთხოვილი და ათვისებული ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღისთვის, მსესხებლის მიერ სესხის ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღისთვის ძირითადი თანხის გადასახდელი ტანხა დგინდება შემდეგნაირად:

(ა) იმ შემთხვევაში თუ სესხის თანხების ნაწილი გამოთხოვილია ძირითადი თანხის დაფარვის პირველი გადახდის თარიღისთვის, მსესხებელმა უნდა გადაიხადოს გამოთხოვილი და შესაბამისი თარიღისთვის გადაუხდელი თანხა ამ დანართის პირველი პუნქტის შესაბამისად.

(ბ) ნებისმიერი თანხა, რომლის გამოთხოვაც მოხდა ძირითადი თანხის პირველი თარიღის გადახდის შემდეგ, უნდა იქნას გადახდილი ძირითადი თანხის ყოველი გადახდის თარიღში, რომელიც დადგება აღნიშნული გამოთხოვის შემდეგ, იმ ოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს ბანკი ყოველი ასეთი გამოთხოვილი თანხის გამრავლებით წილადაზე, რომლის მრიცხველიც იქნება სესხზე თავდაპირველი შენატანი, რომელიც განსაზღვრულია პირველ პუნქტში მოცემულ ცხრილში, ძირითადი თანხის შესაბამისი გადახდის თარიღისთვის „სესხზე თავდაპირველი შენატანი“, ხოლო მნიშვნელი იქნება ამ თარიღში ან ამ თარიღის შემდეგ დარჩენილი ძირითადი თანხის გადახდის თარიღების შესაბამისი თავდაპირველი შენატანების ჯამი.

3. (ა) გამოთვლა, რომელიც განხორციელდა ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღამდე ორი კალენდარული თვის განმავლობაში, ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდის თარიღისთვის ძირითადი თანხის დაფარვისათვის გადასახადი თანხის გამოთვლის მიზნით, იქნება ჩათვლილი როგორც ათვისებული და გადაუხდელი, გამოთხოვის თარიღიდან ძირითადი თანხის დაფარვის შემდგომი თარიღისათვის და იქნება გადასახდელი ძირითადი თანხის ყოველი გადახდის

თარიღში, დაწყებული ათვისების თარიღის შემდეგ დამდგარი ძირითადი თანხის შემდეგომი გადახდის თარიღიდან.

(ბ) მიუხედავად ამ პუნქტის (ა) ქვეპუნქტში შესული დებულებებისა, თუ ბანკი ნებისმიერ დროს მიიღებს იმ დროს არსებულ გადახდის სისტემას, რის მიხედვითაც ინვოისები არის მიღებული ძირითადი თანხის გადახდის შესაბამის დღეს ან შემდეგ, შესაბამისი ქვეპუნქტის დებულებები აღარ გავრცელდება აღნიშნული გადახდის სისტემის მიერ მიღების შემდეგ ჩამორიცხვებზე.

დანართი

ნაწილი I. განმარტებები

1. „ანტიკორუფციული სახელმძღვანელო“ ნიშნავს „IBRD-ის სესხებითა და IDA-ის კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებში თაღლითობისა და კორუფციის აღმოფხვრის სახელმძღვანელოს“ 2006 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებულს და განახლებულს 2011 წლის იანვარში და 2016 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით;
2. "მსესხებელი" ნიშნავს მიმღებს, როგორც ეს ტერმინი განსაზღვრულია ზოგადი პირობებით.
3. "ფულადი სახსრების ტრანსფერი" ნიშნავს ფულად გრანტებს, რომლითაც გათვალისწინებულია MoILHSA-ს მიერ სესხის თანხის გაცემა შესაბამის ბენეფიციარზე პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოში მოცემული კრიტერიუმების და მოთხოვნების შესაბამისად, წინამდებარე შეთანხმების განრიგი 1-ის 2(ა) ნაწილში არსებული ღონისძიებებისთვის.
4. „კატეგორია“ ნიშნავს კატეგორიას, რომელიც განსაზღვრულია სასესხო შეთანხმების ნაწილი IV.ა.2-ს განრიგ 2-ში.
5. "თანადამფინანსებელი" ნიშნავს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს ან "IBRD".
6. „თანადამფინანსება“ ნიშნავს, ზოგადი პირობების დანართის მე-10 პუნქტის მიზნებისათვის, თანადამფინანსებლის მიერ პროექტის დაფინანსებისთვის გაწეულ თანადამფინანსებას სამოცდაცამეტი მილიონი ასი ათასი ევროს ექვივალენტის (€73,100,000) ოდენობით.
7. "თანადამფინანსების შეთანხმება" ნიშნავს შეთანხმებას, რომელიც უნდა დაიდოს 2020 წლის 1 მაისს მსესხებელსა და თანადამფინანსებელს შორის, რომელიც უზრუნველყოფს თანადამფინანსებას.
8. "COVID-19" ნიშნავს კორონავირუსის დაავადებას, რომელიც გამოწვეულია 2019 წლის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2).
9. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა" ან "ESCP" ნიშნავს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმას, რომელიც დათარიღებულია 2020 წლის 28 აპრილით, რომელიც შეიძლება დროდადრო შესწორდეს მისი დებულებების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს მატერიალურ ზომებს და ქმედებებს რაც მსესხებელმა უნდა განახორციელოს ან უზრუნველყოს რომ იყოს განხორციელებული პროექტის პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და გავლენის მისამართით, ზომებისა და ქმედებების, ინსტიტუციური, პერსონალის, ტრენინგის, მონიტორინგისა და ანგარიშების და შემდგომ მოსამზადებელი ნებისმიერი გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტების ღონისძიებების განრიგების ჩათვლით.
10. „გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები“ ან „ESSs“ ნიშნავს, კოლექტიურად: (i) „გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა“; (ii) „გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 2: შრომა და სამუშაო პირობები“; (iii) „გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა“; (iv) „გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 4: საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“; (v) „გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 5: მიწის შეძენა, მიწის გამოყენების შეზღუდვები და არანებაყოფლობით განსახლება“; (vi) „გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 6: ბიომრავალფეროვნების დაცვა და

ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა”; (vii) ”გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 7: მკვიდრი ხალხი / სუბსაჰარული ისტორიულად დაუცველი ტრადიციული ადგილობრივი საზოგადოებები”; (viii) ”გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 8: კულტურული მემკვიდრეობა”; (ix) ”გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 9: ფინანსური შუამავლები”; (x) ”გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 10: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება”; ძალაშია 2018 წლის 1 ოქტომბერიდან, როგორც გამოქვეყნებულია თანადამფინანსებლის მიერ.

11. „ოფიციალური მუშაკები“ ნიშნავს ოფიციალურად დასაქმებულ, დაქირავებულ ან ხელფასის მქონე მუშაკებს, რომელთა შემოსავალი წარდგენილია შემოსავლების სამსახურში, როგორც პერსონალურ სამშრომლო გადასახადი ხელფასებზე, 2020 წლის პირველი კვარტლის პერიოდისთვის.
12. ”ზოგადი პირობები” ნიშნავს ”აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის ზოგად პირობებს AIIB-ის მიერ სუვერენული სესხებთან დაკავშირებით”, დათარიღებული 2020 წლის 20 მარტით.
13. „საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ნიშნავს საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ 2011 წლის 28 დეკემბრის კანონს.
14. „MoILHSA“ ნიშნავს მსესხებლის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.
15. ”საოპერაციო ხარჯები” ნიშნავს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ განხორციელებულ გონივრულ დანახარჯებს, პროექტის განხორციელების გამო, მათ შორისაა საოფისე ტექნიკა და მარაგები, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება, გადაზიდვის ხარჯები, ოფისის ქირაობა, კომუნიკაციისა და დაზღვევის ხარჯები, ოფისის ადმინისტრირების ხარჯები, საბანკო გადასახადები, კომუნალური მომსახურება, ტრანსპორტირების ხარჯები, მგზავრობა, დღიური და ზედამხედველობის ხარჯები და ხელფასები, მათ შორის, სამედიცინო პერსონალისთვის გონივრული საშიშროების / ანაზღაურების გადახდის ჩათვლით.
16. „პერსონალური მონაცემი“ ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან არაიდენტიფიცირებულ ინდივიდს. იდენტიფიცირებადი პიროვნება არის ის, ვინც გონივრული საშუალებით უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით შესაძლებელია იდენტიფიცირდეს, იმ ნიშნით ან ნიშნების კომბინაციით რაც არის არსებული მონაცემის ფარგლებში, ან მონაცემის კომბინაციით სხვა ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. ნიშნები რაც შეიძლება გამოყენებული იქნას პიროვნების იდენტიფიცირებისთვის მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სახელით, საიდენტიფიკაციო ნომრით, ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემით, ონლაინ მაიდენტიფიცირებით, გონებრივი მდგომარეობის შესახებ მონაცემით და პიროვნების ფიზიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, გონებრივი, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური იდენტობის სხვა სპეციფიკური ფაქტორებით.
17. „პოლიტიკა აკრძალული პრაქტიკის შესახებ“ ნიშნავს, „პოლიტიკა აკრძალული პრაქტიკის შესახებ“, დათარიღებული 2016 წლის 8 დეკემბრით, გამოქვეყნებულია ბანკის მიერ.
18. ”შესყიდვების გეგმა” ნიშნავს მსესხებლის შესყიდვის გეგმის პროექტს, რომელიც გათვალისწინებულია შესყიდვების წესების IV ნაწილში, რადგან ასეთი გეგმა შეიძლება პერიოდულად განახლდეს ბანკთან და თანადამფინანსებლის თანხმობით.
19. ”შესყიდვების წესები” ნიშნავს ”მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესებს IPF მსესხებლებისთვის”, 2016 წლის ივლისის დათარიღებული, გადახედილი 2017 წლის ნოემბერში და 2018 წლის აგვისტოში.

20. "პროექტის თანადაფინანსების შეთანხმება" ნიშნავს ხელშეკრულებას, რომელიც უნდა გაფორმდეს ბანკსა და თანადაფინანსებელს შორის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით, სახელწოდებით „პროექტის თანაგამსესხებელთა შეთანხმება“.
21. „შემოსავლების სამსახური“ ნიშნავს მსესხებლის შემოსავლის სამსახურს, რომელიც შეიქმნა „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2010 წლის 23 თებერვალს.
22. „თვითდასაქმებული პირები“ ნიშნავს პირებს, რომელთა შემოსავალი არაა წარდგენილი შემოსავლების სამსახურში, როგორც პერსონალური საშემოსავლო გადასახადი ხელფასებზე და რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ ეკონომიკური საქმიანობის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა საქართველოს მთავრობის რეგულაციების შესაბამისად.
23. "სოციალური მომსახურების სააგენტო" ნიშნავს მსესხებლების სააგენტოს, რომელიც პასუხისმგებელია სოციალური დახმარებისთვის, რომელიც შეიქმნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრით დათარიღებული N13 დადგენილების შესაბამისად.
24. „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ ნიშნავს მსესხებლის ცენტრალურ სახელმწიფო სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვებისათვის, როგორც დადგენილია რომელიც დადგენილია 2005 წლის 20 აპრილის „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
25. მიზნობრივი სოციალური დახმარება ნიშნავს საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სქემას, როგორც დადგენილია 2014 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული 758 დადგენილებით, რომელიც დროდადრო შესწორებულია.
26. "ტრენინგი" ნიშნავს გონივრულ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის ფარგლებში ტრენინგთან და მიეკუთვნება საგანმანათლებლო ვიზიტებს, სასწავლო კურსებს, სემინარებს, უორქშოპებს და სხვა სასწავლო საქმიანობას, რომელიც არ არის გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლების ხელშეკრულებებში, მათ შორის სასწავლო მასალების, სივრცისა და აღჭურვილობის დაქირავების ხარჯები, ტრენერთა და ტრენინგის მონაწილეთა მგზავრობის, საცხოვრებელ და დღიურ ხარჯებს, ტრენერთა საფასურს და ტრენინგთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის ხარჯებს.
27. „უმუშევრობის სარგებელი“ ნიშნავს დროებით ფულად გრანტებს, რომლებსაც გასცემს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სესხის თანხიდან შესაბამის ბენეფიციარზე, პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოში მითითებული კრიტერიუმებისა და მოთხოვნების შესაბამისად წინამდებარე შეთანხმების განრიგი 1-ის 2(ბ) ნაწილში არსებული ღონისძიებებისათვის.

